ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №307634

ნომერი: AR173047

თარიღი : 13.08.2012

გაცემის თარიღი : 14.08.2012

გაცნობის თარიღი : 14.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი ;

<UL>დამკვეთი-განმცხადებელი <LI>გიორგი ბახსოლიანი პ/ნ 01009000867</LI></UL><UL>ორგანიზაცია:<LI>შპს,,

ქ.თბილისი, ზაქარიაძის ქ. 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის 2011 წლის 14 ივნისის#842
სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 13 აგვისტოს #AR173047 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი ბახსოლიანმა და მოითხოვა 14.06.2011წ. #842 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 14 ივნისს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში (ნაკვეთი #003/017, ნაკვეთი #003/016) სასაწყობე დანიშნულების შენობა–ნაგებობის და არსებული

შენობის რეკონსტრუქციის მიზნით გაიცა #842 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 7600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკდასტრო კოდით: #01.19.16.003.037. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით (რეგისტრაციის #882012425341, მომზადების თარიღი 03.08.2012წ.; საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.045) ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდილია და დღეის მდგომარეობით შეედგენს 8187 კვ.მ.–ს საკადასტრო კოდით: 01.19.16.003.045.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან საპროექტო ობიექტი მშენებარეა და არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდასა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით. ამასთან, ვინაიდან, საპროექტო მიწის ნკავეთის ნაწილზე საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად რეგისტრირებულია შეზღუდვა მშენებლობის უფლების გარეშე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შენიშვნის სახით მიუთითოს რომ პროექტირების სტადიაზე დაცული იქნას აღნშნული ვალდებულება ან ამოღებული იქნას ჩანაწერი შეზღუდვასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 ივნისის #842 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 8187 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს №01.19.16.003.045;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 ივნისის #842 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით ჩიწეროს: ,,პროექტირების სტადიაზე გათვალისწინებული იქნას საპროექტო მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული შეზღუდვა მშენებლობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ან ამოღებული იქნას აღნიშნული ჩანაწერი’’
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 ივნისის #842 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882012425341, მომზადების თარიღი 03.08.2012წ.; საკადასტრო კოდი: 01.19.16.003.045);
4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 14 ივნისის #842 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.